სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ძირითადი სუბიექტი

რამაზ ოთინაშვილი –
სტუ-ს სრული პროფესორი

ეკონომიკა ვერ განვითარდება სახელმწიფოს აქტიური რეგულირების გარეშე. თავის მხრივ, ვერც ერთი მთავრობა, მისი იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, გულგრილი ვერ დარჩება ეკონომიკაში არსებული ვითარებისადმი, იმისადმი, თუ რამდენად გამართულად ფუნქცირებს ეროვნული ეკონომიკა და სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურები. ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება ადვილად შეიწიროს ნებისმიერი მთავრობა.

სახელმწიფო მართვის სისტემის ნაწილს წარმოადგენს ღონისძიებები ეკონომიკის ნორმალური და ეფექტიანი ფუნქცირებისათვის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად. საუბარია პრობლემებზე, რომლებიც ვერ გადაწყდება ბაზრის მიერ და ამიტომ წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის საგანს. როგორც ცნობილია ბაზარი მრავალ პოლიტიკურ და თუნდაც ეკონომიკურ ასპექტს ვერ ითვალისწინებს.

ბაზრის არასრულყოფილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციალურ-ეკონომიკური რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე. ბაზრის დისფუნქციები წარმოადგენს ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობას ეკონომიკის სფეროში სახელმწიფო საქმიანობის დასაბუთებისათვის. პოლიტიკურ-ეკონომიკური ღონისძიებების ფორმულირება მოითხოვს, საბაზრო მექანიზმის გამოვლენილი ნაკლოვანებები შედარდეს თავად სახელმწიფოს შესაძლო ნაკლოვანებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ ბაზრის არასრულყოფილება შევადაროთ სახელმწიფო არასრულყოფილებას.

სახელმწიფო (პოლიტიკის) არასრულყოფილება ემყარება იმას, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომლის მიხედვით კერძო ბიზნესის დანახარჯები და შემოსავლები მოვა შესაბამისობაში საზოგადოების სოციალურ საჭიროებებთან. სახელმწიფო ნაკლოვენებების დაძლევაზე მიმართულმა ქმედებებმა საეჭვოა მოგვცეს უკეთესი შედეგი, ვიდრე ახალი ბაზრების შექმნა არსებულის არასრულყოფილების შემთხვევაში. ბაზრის არასრულყოფილების თეორიის ცალმხრივი განმარტებისას სახელმწიფო ჩარევის მასშტაბები მკვეთრად იზრდება. ვინაიდან ეკონომიკის განსახელმწიფოებამდე ბაზარი შეფერხებებით მუშაობს. ამიტომ, თუ აშკარაა სახელმწიფო „ჩავარდნები“, აუცილებელია სახელმწიფო რეგულირების მასშტაბების შეზღუდვა.

სახელმწიფოს საქმიანობა წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგს, რომლებიც განისაზღვრება მრავალი ფაქტორით – ეკონომიკური ურთიერთობებით, საზოგადოებრივი განწყობით, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიებით და ინსტიტუტებით და ა.შ. სახელმწიფოს არასრულყოფილებას აქვს ადგილი, თუ პოლიტიკური პროცესის შედეგები სისტემატურად იხრება ამომრჩევლებისაკენ. შეიძლება მისი დაძლევა სახელმწიფო ამოცანების შესრულების მეთოდების შეცვლისა და შესაბამისი ინსტიტუტების საქმიანობის გადასინჯვის გზით.

იმავე მეთოდებით შეიძლება შეიზღუდოს ბაზრის არასრულყოფილებაც. სწორედ ასეთ ტანდემში მოქმედებდნენ ბაზარი და სახელმწიფო თავისუფალ-სამეწარმეო კაპიტალიზმის პერიოდში. ამ თეზისის სისწორე უფრო აშკარა ხდება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ე.წ. შერეულ ეკონომიკად გადაზრდის კვალობაზე. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთქმედების თვალსაზრისით საბაზრო ეკონომიკამ განვლო განვითარების ორი ერთმანეთისგან მეტნაკლებად განსხვავებული ეტაპი.

ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ბაზრისა და სახელმწიფოს უსაფუძვლო დაპირისპირების დილემა. ცხადია, რომ სახელმწიფო საქმიანობა გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. მაგრამ როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივ ისე ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს ერ-

თიანი აზრი ამ რეგულირების საზღვრების თაობაზე. ასე მაგალითად, ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა ყველაფერში როდია შეთანხმებული კლასიკურ და ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიებთან. მონეტარიზმისა და ეკონომიკური ლიბერალიზმის მომხრეები მხარს უჭერენ ე.წ. „მინიმალურ სახელმწიფოს", რომლის ფუნქციებიც დაიყვანება "ღამის დარაჯის" როლზე. ასეთი მიდგომა გულისხმობს სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ პროცესებში. მიიჩნევს, რომ ამ პროცესების რეგულირების საუკეთესო ინსტრუმენტს წარმოადგენს ბაზრის "უხილავი ხელი".

კეინზიანელები მიჰყვებიან საპირისპირო ხაზს და გამოდიან სახელმწიფოს ფართო ჩარევის მომხრედ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში. იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლებსაც თავს ვერ ართმევს თავისუფალი ბაზარი.

რაც შეეხება ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის მიმდევრებს, მათი უმრავლესობა მხარს უჭერს ეკონომიკის ტოტალურ განსახელმწიფოებრიობას და სახელმწიფოსადმი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების სრულ დაქვემდებარებას.

არსებობს აგრეთვე ე.წ. პატერნალისტური მიდგომა, რომლის მომხრეებმაც საკმაო გავლენა მოიპოვეს ხელისუფლებაში XIX ს. ინგლისში *ტორისა* და XX საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთში პრეზიდენტ დე *გოლის ყოფნის* პერიოდში. ისინი მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს მშობლიურ ზრუნვას თავის მოქალაქეებზე, მათთვის ცხოვრების მისაღები პირობების უზრუნველყოფას.

როგორც აჩვენა XX საუკუნის გამოცდილებამ, ყველაზე ეფექტიანი და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა კეინზიანელობის მიერ შემოთავაზებული ალტერნატივა, რომელსაც უკავია შუალედური პოზიცია ორ უკიდურეს პოლუსს – ლიბერალიზმსა (რომელიც მხარს უჭერს თავისუფალ ბაზარს) და ეკონომიკის ხისტ განსახელმწიფოებრიობის შორის.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოსაზრება ბაზრისა და სახელმწიფოს დაპირისპირებაზე არანაირად არ დასტურდება. მეტიც, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მჭიდრო კავშირები ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის გამომდინარეობს თავად ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის და სამართლებრივი სახელმწიფოს მართვის არსიდან, რაც ემყარება პოლიტიკური თანასწორობის პრინციპებსა და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად მოქალაქეთა სოციალური უფლებების აღიარებას – ცხოვრების ღირსეულ პირობებსა და სტანდარტებს. პოლიტიკოსები გადაირჩევიან არჩევნებზე. მათი პირადი წარმატება პოლიტიკურ ასპარეზზე დამოკიდებულია ეკონომიკის მდგომარეობაზე, ვინაიდან ამომრჩეველთა უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს დასაქმება და ღირსეული შემოსავლები..

ბიზნესი არის კერძო ინსტიტუტი, მაშინ როდესაც სახელმწიფო წარმოადგენს საჯარო ინსტიტუტს, რომელიც ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესს. ვინაიდან ეკონომიკაში ბიზნესი ვითარდება ცვალებადი ინტენსიურობით, საბაზრო მექანიზმი ფუნქციონირებს შედარებით ნაკლები სიზუსტით. ის განისაზღვრება ბიზნეს სუბიექტების ერთობლივი ქცევით, რომლებიც დაინტერესებული არიან საქმიანობის გაგრძელებით. ისე ბაზრის თავისებური თვითგადარჩენის ინსტინქტით, რომლის საქმიანობის შეწყვეტისათვის საჭირო იქნება რაიმე საგანგებო ვითარება, რასაც ძალუძს თუ ყველა მისი მონაწილის არა, უმრავლესობის ინიციატივის „ბლოკირება".

უამრავმა ფაქტორმა იმდენად მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან საბაზრო ურთიერთობების მონაწილე ეკონომიკური აგენტები, რომ ყველა მათგანი ერთდროულად არის მატერიალური სიკეთეებისა და მომსახურების მყიდველიც და გამყიდველიც. შედეგად, იქმნება მდგომარეობა, რომლის დროსაც ბაზარი თითქოს დამოუკიდებლად ასრულებს ფუნქციებს და ქმნის განვითარების საკუთარ კანონებს.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს საბაზრო ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობას. სახელმწიფო იყო და რჩება ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ საკვანძო სუბიექტად, ინარჩუნებს რა არსებით როლს ეკონომიკის რეგულირებაში ბიზნესის-ინფრასტრუქტურის შექმნასა და შენარჩუნებაში. ეკონომიკური თამაშის წესების უზრუნველყოფაში.

ამ ფაქტორის მნიშვნელობას მოწმობს ისიც, რომ ჩვენში პოლიტიკური სფეროს რეფორმების სიძნელეები და წარუმატებლობები მჭიდროდაა დაკავშირებული შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ინფსტრასტრუქტურის ხარისხთან. ერთი შეხედვით იხსნება ახალი ბიზნეს ობიექტები, მაგრამ აღნიშნული არ ხდება სახელმწიფოს მაკრო ეკონომიკური რეგულირების ინტერესების შესაბამისად.

ეკონომიკის მოდელი უშუალოდაა დამოკიდებული საზოგადოების ბუნებაზე, მის სოციალ-

ურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. ამ გაგებით ეკონომიკის ტრანსფორმაცია მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ტრანსფორმაციასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორებიც არიან ადამიანები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან საზოგადოებას ისეთივეა ეკონომიკაც. სამოქალაქო საზოგადოების დაუბალანსებლობა და საზოგადოებრივი აზრის სისუსტე ნეგატიურად აისახება პოლიტიკური დემოკრატიის ინსტიტუტების დამკვიდრებაზე, ხოლო ორივე ეს ფაქტორი, თავის მხრივ, ემყარება საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების გადაუჭრელ პრობლემებს.

გამოცდილება მოწმობს იმ ეკონომისტების და სახელმწიფო მოღვაწეების პოზიციის სისუსტეს, რომლებიც რეფორმების დასაწყისში აღნიშნავდნენ, რომ ბაზარი თავისთავად გადაწყვეტს საზოგადოების წინაშე მდგარ ყველა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომ ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის მაგისტრალური გზა ძევს მხოლოდ ეკონომიკურ ცხოვრებაში - სახელმწიფოს როლის შემცირების მიმართულებით. ამ დროს გადაჭრით უგულებელყოფილი იყო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ე.წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც მოახდინეს უპრეცედენტო გარღვევა ეკონომიკურ განვითარებაში სწორედ სახელმწიფოს აქტიური როლის წყალობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სახელმწიფოს მოღვაწეობის თითოეულ სფეროს აქვს საკმაოდ რთული სტრუქტურა. ცალკეულ ელემენტს გააჩნია თავისი სპეციფიკური ინტერესი, რომლებიც ყოველთვის არ ემთხვევა სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტების ინტერესებს. შედეგად, წარმოიშვება კონფლიქტები და დაპირისპირებები. შესაბამისად, ხშირად ერთი სუბიექტის ინტერესი რეალიზდება სხვა სუბიექტების ინტერესების ხარჯზე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისუფალი კონკურენციისა და ბაზრის პრინციპები გულისხმობს თავისებურ „განულებულ“ თამაშს, რომლის თანახმადაც ერთი მხარის მოგება არის მეორისთვის წაგება და პირიქით. ბაზარს გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობები მოსახლეობის დასაქმების სოციალურად მისაღები დონის უზრუნველსაყოფად. ის ხელს არ უწყობს განუახლებადი რესურსების შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ვერ არეგულირებს მთელი კაცობრიობის კუთვნილი რესურსების გამოყენებას. ბაზარი ორიენტირებულია საზოგადოების შეძლებული ნაწილის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

სახელმწიფო ჩარევის გარეშე ასეთი ვითარება შეიძლება იქცეს სოციალური კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი არასტაბილურობის ფაქტორად, რაც ბუნებრივია აისახება როგორც ცალკეული ეკონომიკური აგენტების და დარგების ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

თუ გავაანალიზებთ ზემოთ აღნიშნული ორი ინსტიტუტის რეალურ ფუნქციებს, გამოვლინდება ასეთი ხისტი დაპირისპირების არამართლზომიერება. ჯერ ერთი ეკონომიკური სისტემა ემსახურება მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამ გაგებით ეკონომიკური საქმიანობის ცალკე აღებული სუბიექტი ასრულებს საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციას. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო დაწესებულების ნებისმიერი რანგის მუშაკზე. რაც შეეხება ბაზრის მამოძრავებელ ძალას - კონკურენციას, დეტალური ანალიზის შედეგად აღმოჩნდება, რომ პოლიტიკა ასევე წარმოადგენს მწვავე კონკურენციის ასპარეზს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, პარტიებს და ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობებზე ინდივიდუალურ პრეტენდენტებს შორის.

გერმანელი ეკონომისტი *ვ. როპკე* არცთუ უსაფუძვლოდ ამტკიცებდა: “*სახელმწიფო შეგვიძლია შევადაროთ ფეღბურთის მსაჯს.. იგი თვითონ არ თამაშობს, მაგრამ იცავს თამაშის წესებს*”. ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკაში სახელმწიფო გამოდის ერთდროულად როგორც მწრთვნელი, მთავარი მოთამაშე და მსაჯი, რომელიც საკუთარ თავს თავად უწესებს ეკონომიკურ სარბიელზე თამაშის წესებს. თუმცა, როპკეს განსაზღვრებაში უნდა შევიტანოთ შესწორება, რომ ფეღბურთის მსაჯს მინიჭებული აქვს საკმაოდ სერიოზული უფლებამოსილება, რომელიც მას საშუალებას აძლევს, მკაცრად დასაჯოს დამნაშავე მოთამაშე.

მეტიც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ისეც ხდება, რომ ზოგჯერ გუნდის გამარჯვება უზრუნველყოფილია სათამაშო მოედანზე მსაჯის მიერ მიღებული უსამართლო გადაწყვეტილებებით. *როპკეს* მეტაფორის გამოყენებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო საზოგადოების მიმართ, მათ შორის ეკონომიკის მიმართაც ასრულებს მსაჯის ფუნქციას. მაგრამ მას გააჩნია ბევრად ფართო უფლებამოსილება ვიდრე ფეხბურთო მსაჯს.

მაგალითად, თუ მსაჯს უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია მოთამაშე გააძეოს მოედნიდან. სახელმწიფო მოქმედი კანონების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია არაკანონმორჩილი მოქალაქეების მიმართ, აუცილებლობის შემთხვევაში, გამოიყენოს მკაცრი ზომები.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ სახელმწიფო როგორც კოლექტიური მეწარმე ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მოთამაშეს - საბაზრო ურთიერთობების არცთუ უმნიშვნელო სუბიექტს. ისევე როგორც კერძო ფირმები, ის აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას. ყოველთვის არსებობს ისეთი ბიზნესი კაპიტალის დაბრუნების ხანგრძლივი ვადით (გრძელვადიანი ინვესტიციები), რომლის გარეშეც საზოგადოება უბრალოდ ვერ იარსებებს. იგივე ეხება სფეროებს და ინსტიტუტებს, რომელთა საქმიანობის შედეგებიც ვერ გაიზომება წმინდა მატერიალური თვალსაზრისით. ესაა, კერძოდ, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები, სოციალური დახმარება შრომისუუნარო მოსახლეობისადმი, ფუნდამენტური მეცნიერება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნება, მართლწესრიგის დაცვა და ა.შ.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია *სახელმწიფო სექტორის* წილი. სახელმწიფო სექტორის ოპტიმალური მასშტაბები ე.წ. „ოქროს შუალედი“ არის 38%-დან 62%-მდე. ესაა ეკონომიკური აგენტები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ განეკუთვნება სახელმწიფო მართვის ცენტრალურ ან ადგილობრივ (მუნიციპალურ) ორგანოებს. სახელმწიფო სექტორი არსებობს უძველესი დროიდან ყველა ქვეყანაში. ის ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სახელმწიფო ფუნქციების შესრულებას. მაგალითად, ეროვნული ბანკი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონტროლის პალატა და ა.შ. საბაზრო ინფრასტრუქტურის ნაკლებად რენტაბელური განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტები. აგრეთვე ისეთი ობიექტები, რომლებიც საჭიროებენ დიდ ინვესტიციებს. მაგალითად ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა. მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება და ა.შ. სახელმწიფოს გააჩნია აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ინსტიტუტები - საგარეო საქმეთა სამინისტრო, საბაჟო, სავაჭრო პალატა და ა.შ.

სახელმწიფო სექტორის წილიდან გამომდინარეობს ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები. ამ შემთხვევაში პირობითად არსებობს ორი ვარიანტი:

1. სახელმწიფოს მინიმალური მონაწილეობა ეკონომიკის მართვაში. ასეთ ქვეყნებში ჭარბობს კერძო სფერო სახელმწიფო სექტორთან შედარებით. ქვეყანაში არსებული ეროვნული სიმდიდრის 20-30 % ეკუთვნის სახელმწიფოს (მაგალითად აშშ). ამ დროს სახელმწიფო ასრულებს მინიმალურად აუცილებელ ფუნქციებს:

- ეკონომიკური ზრდის სტიმულირება;
- სამართლებრივი ბაზით უზრუნველყოფა;
- კონკურენციის დაცვა;
- სახელმწიფოს უზრუნველყოფა ფულით;
- შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება (ზომიერად);
- რესურსების გადანაწილებაზე, დასაქმებასა და ინფლაციაზე კონტროლი;
- საზოგადოებრივი სიკეთეების რეგულირება;
- გარე ეფექტების მართვა და ა.შ.

მსგავსი ეკონომიკური პოლიტიკის დროს სახელმწიფო უმთავრესად იყენებს ზემოქმედების ეკონომიკურ და არა ადმინისტრაციულ საშუალებებს.

2. მაქსიმალურად დასაშვები სახელმწიფო რეგულირება. ქვეყანაში არსებული ეროვნული სიმდიდრის დაახლოებით 50-60% ეკუთვნის სახელმწიფოს. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი მნიშვნელოვნად განვითარებულია (შვედეთი, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი). ამ ვარიანტის დროს სახელმწიფო ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციებს:

- პირობების შექმნა ბიზნესის ეფექტური მართვისთვის (თამაშის წესების დაწესება: საბანკო სისტემის განვითარება, მეწარმეობის წახალისება, საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური განვითარების (ზრდის) სტაბილიზაცია - მართავს ინფლაციას და არეგულირებს ეკონომიკურ ციკლებს;
- სოციალური ურთიერთობების რეგულირება: სამართლიანობის დაცვა (მინიმალური პენსია და ხელფასი, სოციალური დახმარებები).

ამ დროს სახელმწიფოს მიერ გამოიყენება, როგორც ადმინისტრაციული ისე ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტები. მაგრამ საჭიროა გონივრული მიდგომა რა დროს, როგორ და რომელი საშუალება გამოვიყენოთ? გეგმები ძირითადად ატარებს არა სავალდებულო (როგორ იყო სსრკ-ს პირობებში) არამედ ინდიკატორულ (რეკომენდაციულ) ხასიათს.

სახელმწიფო სექტორის მასშტაბები განსაზღვრავს თანაფარდობას სახელმწიფოსა და მოსახლეობის მოხმარებას შორის ქვეყნის მშპ-ში. მეცნიერულად დადგენილია და პრაქტიკით დადასტურებული თუ სახელმწიფო მოხმარების წილი აჭარბებს 70%-ს მაშინ იზრდება ეკონომიკის სახელმწიფო მონოპოლიზაციის ალბათობა. აღნიშნული სახიფათო ზღვარი არსებობდა თავის დროზე საბჭოთა კავშირსა და ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყნაში, რამაც ისინი ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა. იგივე

პრობლემა დადგა გასული საუკუნის დასასრულს შვედეთის წინაშეც. მაგრამ თავის დროზე გატარდა შესაბამისი ღონისძიებები სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების შესამცირებლად. როდესაც სახელმწიფო მოხმარების წილი კლებულობს 20%-ზე ქვევით, ხელმწიფო უკვე ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციებს საერთანადო დონეზე. ოპტიმალურ შუალედად მიჩნეულია 30-60%. ამასთან ე.წ. საბაზრო ეკონომიკის ლიბერალურ ქვეყნებში აშშ, ინგლისი, ავსტრალია სახელმწიფო ხარჯები 30%-ან ახლოსაა. სოციალური ორიენტაციის მქონე ქვეყნებში სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია, ავსტრია კი 60%-ან ახლოს.

ГОСУДАРСТВО КАК ОСНОВНОЙ СУБЪЕКТ РЕГУЛИРОВАНИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

РАМАЗ ОТИНАШВИЛИ - профессор ГТУ

Мировая практика свидетельствует о существовании тесной взаимосвязи между рыночной экономикой, гражданским обществом и государством. Государство было и остается одним из ключевых субъектов экономических отношений, сохраняет значимую роль в регулировании экономики, в создании и сохранении бизнес-инфраструктуры, в обеспечении правил экономической игры.

Модель экономики непосредственно зависит от природы общества, от его социально-психологических особенностей. С учетом этих понятий трансформация экономики тесно связана с трансформацией общества и государства. Иначе говоря, каковы люди, в совокупности создающие общество, такова и экономика. Несбалансированность гражданского общества и слабость общественного мнения негативно отражается на утверждении политически демократичных институтов, а оба этих фактора, в свою очередь, опираются на нерешенную проблему формирования рыночных институтов.

Масштабы государственных секторов определяют соотношение между потреблением государства и населения ВВП страны. Оптимальной серединой считается 30-60%. Вместе с этим в так называемых либеральных странах рыночной экономики США, Англия, Австралия государственные расходы близки к 30%. В странах же социальной ориентации – скандинавские страны, Германия, Австрия ближе к 60%.